



წინასწარჩევნო და პოსტსაარჩევნო ბარემოს მედიამონიტორინგი

შემაჯამებელი ანგარიში

მედიის ინსტიტუტი

2021



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia



კვლევა მომზადებულია მედიის ინსტიტუტის მიერ, რეგიონული პროექტის "COVID-19: სამოქალაქო საზოგადოების მოქნილობა და მდგარადობის" ფარგლებში, რომელსაც ERIM (ყოფილი IREX Europe) და თბილისის ადამიანის უფლებათა სახლი ევროკავშირის ფინანსური მხადრატებით ახორციელებს. კვლევაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ანგარიშის ავტორებს და შეიძლება, არ გამოხატავდეს დონორთა პოზიციას.

ავტორები: გიორგი ტყეშელაშვილი
თეონა სანინაშვილი
ლავარა ჯიბლაძე

აკრძალულია ანგარიშში მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ორგანიზაციის წინასწარი წერილობითი ნებართვის გარეშე.

არასამთავრობო ორგანიზაცია მედიის ინსტიტუტი 2012 წელს დაარსდა. □ისი მიზანია საქართველოში დამოუკიდებელი და დაბალანსებული მედიის განვითარების ხელშეწყობა, მედიის ანგარიშვალდებულებისა და თვითრეგულირების ხელშეწყობა, გამოხატვის თავისუფლების პრინციპების დაცვა და პოპულარიზაცია, მედიის პროფესიული და ინსტიტუციური განვითარების ხელშეწყობა და ადამიანის უფლებების ჟურნალისტიკის განვითარება.

მისამართი: თბილისი, აკ. გახოვიძის ქ. # 11ა, III სართული.

ტელ: (+599) 599 99 56 66

ელ. ფოსტა: mediainstituti@gmail.com

<https://www.facebook.com/Instituteofmedia>

სარჩევი

შესავალი	4
მეთოდოლოგია	4
პროკაგანდის ტექნიკები და მეთოდები	4
სიძულვილის ენა – კონცეპტი და კონტექსტები	5
პოლიტიკური სუბიექტების წინააღმდეგ მიმართული დისკრედიტაციული კამპანიები	7
დისკრედიტაციული კამპანიები ხელისუფლების წინააღმდეგ	12
კორონავირუსი და პროკაგანდა	15
სიძულვილის ენა მედიაში	17
სექსიზმი და გენდერული დისკრიმინაცია	17
ჰომოფობია და ტრანსფობია	18
ქსენოფობია	18
დასკვნა	19

შესავალი

წინამდებარე ანგარიში ასახავს 2021 წლის 1-ლი იანვრიდან 31 მარტის ჩათვლით მედიამონიტორინგის შედეგებს. საანგარიშო პერიოდში, მედიის ინსტიტუტის მონიტორები 7 სატელევიზიო მედიასაშუალებას დააკვირდნენ. კერძოდ, მონიტორინგი განხორციელდა შემდეგ სატელევიზიო მედიასაშუალებებსა და პროგრამებზე: იმედი (გადაცემა “იმედის ფაქტორი”), TV პირველი (თოქ-შოუ “რეაქცია”), ობიექტივი (გადაცემა “ღამის სტუდია”), ფორმულა (გადაცემა “პოლიტიკის ფორმულა”), მთავარი არხი (“ღამის მთავარი”) “ალტ-TV” (“ალტ-ანალიტიკა”) და გირჩი TV (“პოლიტიკური აგორა”).

მეთოდოლოგია

ანგარიშში გამოყენებულია თვისობრივი კვლევის მეთოდი, კერძოდ - კონტენტანალიზი. ანგარიშის მიზანია, გამოავლინოს პროპაგანდის ტექნიკები და ლოგიკური ცდომილებები, რომლებიც ყველაზე ხშირად გამოიყენებოდა ქართულ მედიაში პოსტ-საარჩევნო პერიოდში. გარდა ამისა, ანგარიში ავლენს სიძულვილის ენის გამოყენების ფაქტებს და ახდენს მათ კლასიფიკაციას.

პროპაგანდის ტექნიკები და მეთოდები

პროპაგანდის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული დეფინიცია აღნიშნავს მიზანმიმართულ, სისტემურ მცდელობას, მოახდინოს აღქმების ფორმირება, კოგნიციების მანიპულაცია და ისეთი ქმედებების წახალისება, რომლებიც პროპაგანდისტის კონკრეტულ მიზნებს ემსახურება.¹

პროპაგანდის გზავნილების უმეტესობა ლოგიკურ ცდომილებებად კლასიფიცირდება, ვინაიდან, პროპაგანდისტები იყენებენ, შესაძლოა, ერთი შეხედვით დამაჯერებელ, თუმცა არავალიდურ, არალოგიკურ არგუმენტებს. შესაბამისად, პროპაგანდისტული გზავნილების იდენტიფიცირებისთვის მნიშვნელოვანია პროპაგანდის კონკრეტული ტექნიკებისა და ლოგიკური ცდომილებების ცოდნა. წინამდებარე ანგარიში მედიასაშუალებებისა და პოლიტიკური სუბიექტების გზავნილებს სწორედ პროპაგანდის ტექნიკების შუქზე აანალიზებს. **მონიტორინგის ფარგლებში გამოვლინდა შემდეგი ტექნიკების გამოყენება:**

- **ად ჰომინემ** - კონკრეტულ ორგანიზაციებზე, მათთან აფილირებულ პირებსა თუ ცალკეულ პიროვნებებზე თავდასხმა და მათი დემონიზება არგუმენტირებული მსჯელობის ნაცვლად.²
- **მცდარი განზოგადება** - დასკვნების გამოტანა კონკრეტული, არასაკმარისი მაგალითების მიხედვით.³

¹ იხ.: Garth Jowett, Victoria O'Donnell (2015), Propaganda and Persuasion, Sage Publications.

² იხ. <https://bit.ly/3xyLapb>.

³ იხ. <https://bit.ly/3xuTaaR>.

- **მცდარი დილემა/მცდარი დიქტომია** - ორი ალტერნატიული, ხშირ შემთხვევაში, რადიკალური პოზიციის წარმოდგენა და ერთ-ერთისთვის უპირატესობის მინიჭება, მაშინ როცა კონფლიქტი ამ ალტერნატივებს შორის ილუმორულია.⁴
- **კონტრბრალდებები (Whataboutism)** - ბრალდებებზე პასუხის გაცემის ნაცვლად, საპირისპირო ბრალდებების წამოყენება ან აქცენტი სხვა საკითხზე გადატანა.⁵
- **კარტების დაწყობა** - ინფორმაციის ცალმხრივი და შერჩევითი გაშუქება.⁶
- **აპელირება ემოციამზე/აპელირება შიშზე** - აუდიტორიის საკუთარ აზრში დარწმუნების მიზნით, მისი ემოციებით მანიპულირება, ლოგიკური არგუმენტების შეთავაზების ნაცვლად. განსაკუთრებით ხშირია **შიშზე აპელირება**, რომელსაც მომხსენებელი იყენებს აუდიტორიის იმაში დასარწმუნებლად, რომ კონკრეტული პოლიტიკური ძალის ხელისუფლებაში მოსვლას, აუცილებლად დამღუპველი შედეგები მოჰყვება.
- **Ad nauseum** - ერთი და იმავე გზავნილის ხშირი გამოყენება, რაც ზრდის აუდიტორიის მიერ მისი დაჯერების ალბათობას.
- **ცრუ მოწმის ცდომილება (Straw Man Fallacy)** - საპირისპირო არგუმენტის შეცვლა, დამახინჯება და გაზვიადება ისე, რომ არგუმენტის უარყოფა უფრო მარტივი გახდეს.⁷
- **მცდარი ეკვივალენტობა (False Equivalence)** - ორი მოვლენის ან არგუმენტის ერთმანეთთან შედარება, გაცხადება, რომ ისინი იდენტურია, როცა მათ შორის საერთო ფაქტორები გაცილებით მცირეა, ვიდრე განმასხვავებელი ფაქტორები.⁸
- **დამრეცი ფერდობის არგუმენტი (A slippery slope argument)** - ეს არაფორმალური ცდომილება გამოიყენება მაშინ, როდესაც მოსაუბრეს სურს, აუდიტორია დაარწმუნოს იმაში, რომ ერთი მოვლენა იწვევს სხვა, სრულიად განსხვავებულ მოვლენას, ან ერთმანეთთან დაუკავშირებელი მოვლენების ჯაჭვს.⁹

სიძულვილის ენა – კონსეკუტი და კონტექსტუმი

სიძულვილის ენის უნივერსალურად აღიარებული დეფინიცია არ არსებობს და სხვადასხვა ქვეყნებსა და ორგანიზაციებში ერთმანეთისგან განსხვავებული განმარტებები გვხვდება. მონიტორინგი ეყრდნობა შემდეგ ფართოდ აღიარებულ განმარტებას: სიძულვილის ენის ქვეშ იგულისხმება ნებისმიერი დამაკნინებელი და უთანასწორო დამოკიდებულების გამოხატვა ცალკეული ინდივიდებისა თუ ჯგუფების მიმართ.

ასევე არსებობს ევროპის საბჭოს 1997 წლის 30 ოქტომბრის რეკომენდაცია No. R(97)20, სადაც „სიძულვილის ენის“ შესახებ მინისტრთა კომიტეტმა შემდეგი დაადგინა: „ტერმინი „სიძულვილის ენა“ მოიაზრებს გამოხატვის ყველა ფორმას, რომელიც აგრძელებს, იწვევს, ხელს უწყობს ან ამართლებს რასობრივ შუღლს, ქსენოფობიას,

⁴ იხ. <https://bit.ly/2S54tWP>.

⁵ იხ. მედია და ინფორმაციული წიგნიერების ლაბორატორია: პროპაგანდა <https://bit.ly/3omVHOx>

⁶ Ibid.

⁷ იხ. <https://bit.ly/3gMMRJK>.

⁸ იხ. <https://bit.ly/3ubrOV2>.

⁹ იხ. <https://bit.ly/3u12Bwt>.

ანტიემიტიზმს ან შეუწყნარებლობაზე დაფუძნებულ შუღლის სხვა ფორმებს, დისკრიმინაციისა და უმცირესობათა მიმართ გამოხატული მტრობის ჩათვლით. ამ რეკომენდაციის მიზნებისათვის, ითვლება, რომ ტერმინი „სიძულვილის ენა“ ფარავს სიძულვილის გამომხატველი გამოთქმების ფორმებს, გამოხატვის რა საშუალებაც უნდა იყოს გამოყენებული, ინტერნეტისა და ნებისმიერი სხვა მედიის ჩათვლით.“¹⁰

ტერმინი „სიძულვილის ენა“ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გაჩნდა, როცა 1966 წელს მიიღეს კონვენცია "რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ". ამ დოკუმენტში პირდაპირ მოუწოდებდნენ მონაწილე სახელმწიფოებს, რომ სიძულვილის ენა, ანუ რასობრივ უპირატესობებზე დაფუძნებული იდეები ან მოსაზრებები, ასევე ამ მოტივით ძალადობის წაქეზება კანონით დასჯადად გამოეცხადებინათ.¹¹

გაეროს რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი თავის ზოგად რეკომენდაციებში¹² აყალიბებს იმ გარემოებებს, რომლებიც მხედველობაში იქნეს მიღებული განცხადების სიძულვილის ენად დაკვალიფიცირებისთვის. იგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს დისკრიმინაციის განხორციელების შეგნებულ ხასიათს და ამის დასადგენად ყურადღებას აქცევს განცხადების ფორმას, შინაარსს, აუდიტორიას, ვისთვისაც იგი არის განკუთვნილი, გამეორების სიხშირეს და ა.შ.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო განსაკუთრებული სიფრთხილით ეკიდება გამოხატვის თავისუფლების პრინციპის განუხრელ დაცვას. სასამართლოს პოზიციაა, რომ „შეწყნარებლობა და ყველა ადამიანის ღირსების თანაბარბომიერი პატივისცემა წარმოადგენს დემოკრატიული და პლურალისტური საზოგადოების ფუნდამენტს. აქედან გამომდინარეობს, რომ პრინციპში, ზოგიერთ დემოკრატიულ საზოგადოებაში შეიძლება, აუცილებლად იქნეს მიჩნეული გამოხატვის ყველა ისეთი ფორმის სანქციონირება და აკრძალვაც კი, რომელიც ავრცელებს, უბიძგებს, ხელს უწყობს ან ამართლებს შეუწყნარებლობაზე დაფუძნებულ სიძულვილს.“¹³

ევროსასამართლო საკმაოდ შორს წავიდა კონვენციის განმარტებაში და თავად კონვენციაში მითითებული გამონაკლისების გარდა (მე-10 და მე-11 მუხლების მე-2 პუნქტები), სიძულვილის ენის აკრძალვის ლეგიტიმაციისთვის შეიმუშავა უფრო ზოგადი ხასიათის მიდგომა და სიძულვილის ენის გამოვლინებებს მიუსადაგა კონვენციის მე-17 მუხლში გაცხადებული უფლების ბოროტად გამოყენების პრინციპი – სასამართლოს აზრით, კონვენცია არ იცავს იმ პირთა უფლებებს, რომელთა აქტივობაც მიმართულია კონვენციის ფუნდამენტური ღირებულებების და პრინციპების წინააღმდეგ.¹⁴

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მე-7 მუხლი სიძულვილის ენას მოიცავს, კერძოდ: “ჟურნალისტს უნდა ესმოდეს მედიის მიერ დისკრიმინაციის წახალისების საფრთხე; ამიტომ ყველაფერი უნდა იღონოს ნებისმიერი პირის დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად რასის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის,

¹⁰ იხ. <https://bit.ly/3ua8VBK>.

¹¹ იხ. საერთაშორისო კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოსაფხვრელად: <https://bit.ly/3e4Y0E7>.

¹² ზოგადი რეკომენდაციები N35, პარ. 15.

¹³ იხ. ერბაკანი თურქეთის წინააღმდეგ, 2006 წლის 6 ივლისი, პარ. 56.

¹⁴ იხ. მაგ. რელიგიური ნიშნით სიძულვილის ენასთან მიმართებაში: ჰიზბ უტ-ტაჰირი და სხვები გერმანიის წინააღმდეგ, 2012 წლის 19 ივნისი, კასიმახუნოვი და საიბატალოვი რუსეთის წინააღმდეგ, 2013 წლის 14 მარტი; ანტიემიტიზმთან მიმართებაში: პაველ ივანოვი რუსეთის წინააღმდეგ, 2007 წლის 20 თებერვალი; სექსუალურ ორიენტაციასთან მიმართებაში: ვეილელანდი და სხვები შვედეთის წინააღმდეგ, 2012 წლის 9 თებერვალი.

ენის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული ან სოციალური წარმოშობის საფუძველზე ან რაიმე სხვა ნიშნით.”

ქარტიის საბჭოს მიერ საქმეთა განხილვის პრაქტიკის თანახმად, მე-7 პრინციპი ფარავს დისკრიმინაციას, სიძულვილის ენას, სტიგმატიზაციას. როგორც ევროპის საბჭოს, ისე ქარტიის განმარტების თანახმად, სიძულვილის ენა უნდა ეხებოდეს გარკვეულ იდენტობას. დისკრიმინაცია და სტიგმატიზაცია გარკვეული ნიშნით უნდა ხდებოდეს და ნეგატიურ კონტექსტში წარმოაჩენდეს ამ ნიშნის მქონე პირებს. საბჭომ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ „*სიძულვილის ენა უნდა იყოს კონკრეტული ჯგუფის მიმართ და ატარებდეს შეურაცხმყოფელ ხასიათს, თუმცა ყველა შეურაცხმყოფელი ტექსტი არ შეიძლება იყოს სიძულვილის ენა*“.¹⁵ ამ განმარტებით ქარტიის საბჭომ ერთმანეთისგან გამიჯნა დისკრიმინაცია და დისკრედიტაცია.

სიძულვილის ენა ქართულ პოლიტიკურ კონტექსტში განსაკუთრებით მწვავე პრობლემას წარმოადგენს შექმნილი პოლიტიკური პოლარიზაციის ფონზე.

პოლიტიკური სუბიექტების წინააღმდეგ მიმართული დისკრედიტაციული კამპანიები

დისკრედიტაციული კამპანიები ოპოზიციის წინააღმდეგ

ძირითადი ტენდენციები

1. რადიკალური ოპოზიცია ებრძვის სახელმწიფო ინსტიტუტებს და გეგმავს გადატრიალებას;
2. სააკაშვილი წარმოადგენს ოპოზიციის ბელადს. მთელი ოპოზიცია ნაციონალურ მოძრაობას ექვემდებარება;
3. ოპოზიცია არის ანტი-ქართული და ანტი-ეროვნული ძალა.

ოპოზიციური პარტიების წინააღმდეგ დისკრედიტაციული კამპანიების წარმოებაში, არჩევნების შემდგომ პერიოდში, ისევ ტელეკომპანია “იმედი” გამოირჩეოდა. ყველაზე ხშირად, გადაცემაში “იმედის ფაქტორი” - გამოყენებული იყო ტექნიკა **ად ჰომინემ**, რომელიც ოპონენტების დემონიზებას და დისკრედიტაციას ემსახურებოდა. ოპოზიცია წარმოდგენილი იყო როგორც დესტრუქციული, პრორუსი და ანტიეროვნული ძალა. მეტიც, ოპოზიციის ნაწილს მოიხსენიებდნენ როგორც - ბოლშევიკებს, ნეობოლშევიკებს, ნაცისტებს, მანიაკებს, ტერორისტებს და არაქართველებს. ერთ-ერთი გადაცემა მთლიანად დაეთმო ნაციონალური მოძრაობის და ბოლშევიკების შედარებას. ამ ნაწილში გამოიყენებოდა **მცდარი ეკვივალენტობის და მცდარი განზოგადების ცდომილებები**. ამასთან, არამხოლოდ გადაცემის სტუმრების, არამედ წამყვანების მხრიდანაც, გამოიყენებოდა სიძულვილის ენა ოპოზიციის მიმართ.¹⁶

¹⁵ იხ. საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპების განმარტება - პრაქტიკის ანალიზი, დ. კლდიაშვილი, თბილისი, 2019. <https://bit.ly/3xyLCDT>.

¹⁶ იხ. იმედის ფაქტორი, 16 თებერვალი, 2021. <https://bit.ly/2Sh0q2z>.

- **გოგა ხაინდრაგა, რეჟისორი:** “ესენი არიან ნეობოლშევიკები (ნაციონალური მოძრაობა), გამგრძელებლები იმის, რაც იყო სერგო ორჯონიკიძე”¹⁷
- **ირაკლი კობახიძე, ქართული ოცნება:** “ნაციონალების და გავრილოვის პარტნიორობას აქვს საკმაოდ ხანგძლივი ისტორია. ის დაიწყო 2019 წლის 20 ივნისამდე 2 კვირით ადრე. არსებობს უხილავი კავშირები ამ სუბიექტებს შორის (რუსეთი და ოპოზიცია). ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ გავრილოვი აკეთებს-ხოლმე, პერიოდულად, ისეთ განცხადებებს, როგორც ნაციონალურ მოძრაობას აწყობს. არის ხშირი კომუნიკაცია პარტიულ ტელევიზიებსა და გავრილოვს შორის”¹⁸
- **ვაკა გორგილაძე, წამყვანი ალექსანდრე რაქვიაშვილს:** “ბატონო ალექსანდრე? მაინტერესებს, რას ეწვეიან (ნაციონალური მოძრაობის წევრები)? რამდენად ადეკვატური არის (მათი განცხადებები)?”¹⁹
- **ვაკა გორგილაძე, წამყვანი:** “მე სულ ვამბობდი, რომ ჩვენს გადაცემას, განსაკუთრებით, როცა თემა ეხება ოპოზიციას და მათ განცხადებებს, სჭირდება შტატიანი ფსიქიატრი, იმიტომ რომ პოლიტოლოგია, ამას, მე მგონი, ვეღარ წვდება.”²⁰

ამასთან ერთად, იმედის ეთერში ხშირად გამოიყენებოდა ტექნიკები - **აპელირება ემოციაზე** (განსაკუთრებით, ეროვნულ იდენტობაზე აპელირებით) და **აპელირება შიშზე**. გადაცემის წამყვანები და სტუმრები ამ ტექნიკებს იყენებდნენ მაშინ, როდესაც აპელირებდნენ ნაციონალური მოძრაობის ანტიეროვნულობაზე, იმ შედეგებზე, რაც ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებაში დაბრუნებას შეიძლება მოყვას, ასევე ოპოზიციის დამოკიდებულებაზე კორონავირუსის მიმართ:

- **მავდა ანიკაშვილი, წამყვანი:** “რადიკალური ოპოზიცია მართლმსაჯულებას უპირისპირდება და სამოქალაქო დაუმორჩილებლობით იმუქრება, რადგან პარლამენტზე არშემდგარი შტურმის შემდეგ ცდილობს იერიში სახელმწიფო ინსტიტუტებზე მიიტანოს. ეს არის მათი ბრძოლა ქვეყნის სამი საყრდენის - მამულის, ენის და განსაკუთრებით, სარწმუნოების წინააღმდეგ”²¹
- **ბაჩო ოდიშარია, ქართული ოცნება:** “ეროვნულ იდენტობასთან, ყველაფერთან მიდიოდა დაპირისპირება. 2012 წლის შემდეგ, რაც ეს ძალაუფლება მათ აღარ აქვთ, რომ მოახდინონ ეროვნული იდენტობის ქართული ცნობიერებებიდან ამოშლა. იმავეს ვხედავთ მედია საშუალებით. მედია საშუალებითაც არის კულტურის პროფანაცია, იგივე “ჩემი ცოლის დაქალები” ახსენეთ... ჩვენ ვხედავთ ენის ვულგარიზაციას ყველა გადაცემაში, ჩვენ ვხედავთ რწმენის შეურაცხყოფას, ბულინგს და ნაციონალური სუვერენიტეტის ხელყოფას...”²²
- **ნიკუშა შენგელაია, მხატვარი:** “მათი პრობლემა ივანიშვილი კი არ არის და ოცნება, მათი პრობლემა არის ქართველი ხალხი, იმიტომ რომ ბოლბე აქვს, საცა წმინდა ნინოს წმინდა ძვლებია, იმიტომ, რომ სვეტიცხოველი აქვს, საცა კვართია, იმიტომ რომ დავით გარეჯი

¹⁷ იხ. იმედის ფაქტორი, 29 იანვარი, 2021. <https://bit.ly/331nlbz>.
¹⁸ იხ. იმედის ფაქტ ფაქტორი, 9 თებერვალი, 2021. <https://bit.ly/3e4YtpR>.
¹⁹ იხ. იმედის ფაქტორი, 30 მარტი, 2021. <https://bit.ly/3qL2uRY>.
²⁰ იხ. იმედის ფაქტორი, 16 მარტი, 2021. <https://bit.ly/3u8mamq>.
²¹ იხ. იმედის ფაქტორი, 16 თებერვალი, 2021. <https://bit.ly/3qOBwsH>.
²² იხ. იმედის ფაქტორი, 16 თებერვალი, 2021. <https://bit.ly/3t6h5Kn>.

აქვს, ეს დიდი ქრისტიანული ენერჯია, იმიტომ, რომ გელათი გვაქვს, სადაც დავით აღმაშენებელი წევს... ამის წინააღმდეგ გამოდიან ნეობოლშევიკები..."²³

- **ირაკლი კობახიძე, ქართული ოცნება:** "ესენი არიან უსამშობლო ხალხი, რომელთაც არ უყვართ საკუთარი სამშობლო და უპირისპირდებიან ყველაფერს, რაც დაკავშირებულია სამშობლოსთან."²⁴

აპელირება ემოციებზე, კონტრბრალდებები, ისევე, როგორც **ძალადობისკენ არაპირდაპირი მოწოდება,** გამოიკვეთა ბერა ივანიშვილის ინტერვიუში, რომელიც გადაცემა "იმედის ფაქტორში" 9 მარტს გავიდა:

- **ბერა ივანიშვილი, რეპორტი:** 10-11 წლის ბავშვებზე იყო მუქარა, თავდასხმები, თქვენთან სახლში მოვალთ, ბერა ვერ დაგიცავს, ბერას კიბო აქვს... ავთენტურია თუ არა ეს ჩანაწერები, დაამონტაჟეს თუ არ დაამონტაჟეს, მნიშვნელობა არ აქვს, პირდაპირ ვიტყვი, რომ მე თუ ვინმე დედას შემაგინებს, თუ ვინმე ჩემს ოჯახს შეეხება, მე მას პასუხს მოვთხოვ დღესაც და მანახეთ ქართველი კაცი, რომელიც ამ საკითხზე სხვანაირად ფიქრობს, ერთი ვაჟკაცი, ერთი ქართველი კაცი მაჩვენეთ, ვინც ამ საკითხზე სხვა ამრის არის..."²⁵

გარდა ამისა, გადაცემა "იმედის ფაქტორში" ჟღერდებოდა მოწოდებები დემოკრატიული პროცესისა და დემოკრატიული ღირებულებების, მათ შორის სიტყვის თავისუფლების წინააღმდეგ. აქცენტი კეთდებოდა იმაზე, რომ ნაციონალური მოძრაობა არ უნდა იყოს პოლიტიკაში და რომ სიტყვის თავისუფლება "გადაჭარბებული რაოდენობით" დამღუპველია. ასევე, ერთ-ერთ გადაცემაში გაჟღერდა იდეა, რომ ოპოზიციური არხები უნდა "გამოირთოს":

- **სოსო მანჯავიძე, პოლიტოლოგი:** "გამოხატვის თავისუფლების ქიმერას მსხვერპლად ვწირავთ ჩვენი ქვეყნის განვითარების პერსპექტივას"²⁶
- **მამა ალექსანდრე გალდავა:** "ბოროტებასთან კოაბიტაცია არ შეიძლება... უნდა მორჩეს ამ ხალხის პოლიტიკაში ყოფნა... ხო არ გვინდა დაჭერა, განადგურება... პოლიტიკაში რაღაცა 10 კაცი აღარ იყოს. ახლა ეკლესია მოახდენს და აღარ იქნება ერთი ადამიანი სამღვდლოთა დასში. ერშიც უნდა გააკეთოთ ეს თქვენ"²⁷
- **გოგა ხაინდრავა, რეჟისორი:** "ტერორიზმი სხვადასხვა სახის არის. ეს არის ფსიქოლოგიური ტერორიზმის ნიმუში. ეს ფსიქოლოგიური ტერორიზმი უნდა გამოვრთოთ და აღარც ეს ლაპარაკი იქნება საჭირო. ეს ტელესაროსკიპოები, რომლებიც ფსიქოლოგიურ ტერორს ეწევიან, უნდა გამოვრთოთ და დამთავრდება ამით ყველაფერი."²⁸

²³ იხ. იმედის ფაქტორი, 9 მარტი, 2021. <https://bit.ly/3vwemvf>.

²⁴ იხ. იმედის ფაქტორი, 16 თებერვალი, 2021. <https://bit.ly/3uahKvE>.

²⁵ იხ. იმედის ფაქტორი, 9 მარტი 2021. <https://bit.ly/3u6eLV1>.

²⁶ იხ. იმედის ფაქტორი, 26 იანვარი, 2021. <https://bit.ly/3vuuux8>.

²⁷ იხ. იმედის ფაქტორი, 9 მარტი, 2021. <https://bit.ly/3gMyAwF>.

²⁸ იხ. იმედის ფაქტორი, 9 მარტი, 2021. <https://bit.ly/3xzCfUs>.

როგორც წინასაარჩევნო, ასევე პოსტ-საარჩევნო პერიოდში, გადაცემის წამყვანები და სტუმრები ოპოზიციის ერთ ნაწილს კვლავ “რადიკალურ ოპოზიციად მოიხსენიებდნენ. განსხვავებით წინასაარჩევნო პერიოდისგან, როცა იმედის პოლიტიკურ-ანალიტიკურ თოქშოუებში ოპოზიციის წევრები საერთოდ არ იყვნენ წარმოდგენილნი, პოსტ-საარჩევნო პერიოდში ზოგიერთი ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელი “იმედის ფაქტორს” სტუმრობდა. მათ შორის იყვნენ, პარტიების - “ახალი პოლიტიკური ცენტრი - გირჩის”, “სტრატეგია აღმაშენებლის” და “მოქალაქეების” წევრები. თუმცა, ე.წ. რადიკალური ოპოზიცია, რომლის ქვეშაც ირაკლი კობახიძემ “ნაციონალური მოძრაობა”, “ვეროპული საქართველო”, “ლელო” და “გირჩი - მეტი თავისუფლება” გააერთიანა - გადაცემაში წარმოდგენილი არ ყოფილა.²⁹

ასევე, პოსტ-საარჩევნო პერიოდშიც გაგრძელდა კამპანია - “გარეჯი საქართველოა”, რომლის ფარგლებშიც “იმედის ფაქტორის” წამყვანები და სტუმრები იყენებდნენ ტექნიკებს - “კარტების დანყოფილება” და “ცრუ მონშის ცდომილება”. ეს უკანასკნელი გამოიხატებოდა იმაში, რომ თითქოს ყველა, ვინც კარტოგრაფების თავისუფლებას ითხოვდა, აცხადებდა, რომ დავით-გარეჯის სამონასტრო კომპლექსი საქართველოს ნაწილი არ არის. ასევე ხშირი იყო რელიგიის იარაღად გამოყენება, ემოციებზე აპელირება და დემონიზების ტექნიკა. ივერი მელაშვილი და ნატალია ილიჩოვა ხშირად ხდებოდნენ სიძულვილის ენის ობიექტები:

- *ლეგან ნიკოლეიშვილი, ანალიტიკოსი:* "თქვენ ნახეთ ხომ, იგივე მელაშვილის განცხადება, რომ სადაც ბერმა კელიასთან სანთელი აანთო. ჯერ ერთი, ეს არ არის უბრალოდ ბერი, ვილაცას რომ წარმოუდგენია... ეს გარდა იმისა, რომ ჩვენი სარწმუნოების და ქვეყნის დარაჯია, ეს არის ჩვენი შუამავალი უფალთან, რომელიც ჩვენთვის ლოცულობის, მათ შორის, ბოდიშს გიხდით, გამოთქმისთვის, ამ გათახსირებული ადამიანებისთვისაც."³⁰
- *თედო გორგოძე, კარტოგრაფი:* "სიძულვილის ღირსია ყველა ის კარტოგრაფი, (არ არის ივერი მელაშვილი კარტოგრაფი, მაგრამ დაუშვათ, - არის), რომელიც თავის ტეროტორიას უნდა იცავდეს და არავის არ აქვს უფლება, ის მასალა, რომელზეც ჩვენი ქვეყნის სასიკეთო მდგომარეობაა ასახული, არ გამოიყენოს საქვეყნო მიზნებისთვის."³¹

“კარტების დანყოფილება” და განცხადებების ცამხრივი გაშუქება იქნა გამოყენებული 24 მარტის გადაცემაში. კერძოდ, გადაცემაში რამდენჯერმე გაჟღერდა ჯინ შაჰინის სენატში გაკეთებული განცხადების მხოლოდ ერთი ნაწილი, რომელშიც ის აღნიშნავს, რომ ცარიელი ადგილები საქართველოს პარლამენტში რუსეთის გამარჯვებაა. ეს განცხადება შემდგომში გადაცემაში ინტერპრეტირდა, როგორც ე.წ. “რადიკალური ოპოზიციის” კრიტიკა.³² რეალურად, ერთი მხრივ, შაჰინის განცხადება პირდაპირ არ იძლევა ოპოზიციაზე სრული პასუხისმგებლობის დაკისრების საშუალებას. მეორე მხრივ კი, განცხადების მეორე ნაწილი, სადაც შაჰინი ნაციონალური მოძრაობის ლიდერის, ნიკა მელიას პატიმრობის დაუშვებლობაზე საუბრობს, იგნორირებული იყო.³³

²⁹ იხ. იმედის ფაქტორი, 30 მარტი, 2021. <https://bit.ly/3e67FdC>.

³⁰ იხ. იმედის ფაქტორი, 21 იანვარი, 2021. <https://bit.ly/2RfTMjG>.

³¹ იხ. იმედის ფაქტორი 29 იანვარი, 2021. <https://bit.ly/3e6KhfQ>.

³² იხ. იმედის ფაქტორი, 24 მარტი, 2021. <https://bit.ly/3vvrNeN>.

³³ იხ. სენატორ შაჰინის სრული განცხადება: <https://bit.ly/2Rdvlmi>.

ოპოზიციის, განსაკუთრებულად კი, ნაციონალური მოძრაობის წინააღმდეგ დისკრედიტაციის კამპანია, არჩევნების შემდეგ გაგრძელდა ტელეკომპანია “ობიექტივის” ეთერშიც. გარდა ოპოზიციური პარტიების დისკრედიტაციისა, გადაცემა “ლამის სტუდიის” წამყვანები ამუნათებდნენ მათ მხარდამჭერებსაც:

- **ვალერი კვარაცხელია, ჟურნალისტი:** „როგორ შეიძლება... ისე იდგე სადღაც და ვილაცას ტაშს უკრავდე და რაღაცას ემხრობოდე ისე, რომ წარმოდგენაც არა გაქვს რას ემხრობი... ან მოსყიდული ხარ და გადაბირებული ხარ და გადაგვარებული; სხვა მხარდამჭერი დღეს ნაციონალურ მოძრაობას არ უნდა ჰყავდეს.“³⁴
- **ნინო რატიშვილი, ჟურნალისტი:** „მე მინდა ვუთხრა, ვინც მათ [გირჩს] მისცა ხმა: აი, ამას მისცეს ხმა? ეს სამშობლოს ღალატია ჩემთვის.“³⁵
- **აკაკი ასათიანი:** “ნაციონალებმა ‘სამშობლოს მოღალატეობის’ შესახებ კანონი იმიტომ ამოიღეს კონსტიტუციიდან, რომ მერე მათ არ მიდგომოდნენ“.³⁶

ობიექტივის ეთერში აქცენტი ასევე კეთდებოდა მართლმადიდებლობისა და ქართული ეროვნული იდენტობის წინააღმდეგ ბრძოლაზე. ამ ნარატივის მიხედვით, ეროვნულ იდენტობასა და რელიგიას - ოპოზიციასთან, განსაკუთრებით კი, ნაციონალურ მოძრაობასთან ერთად, ებრძვის ლიბერალიზმი, დასავლეთი და არასამთავრობო ორგანიზაციები. ამ ნარატივში, შესაძლებელია როგორც **რელიგიის იარაღად გამოყენებისა და ემოციებზე აპელირების**, ასევე ტექნიკა **ად ჰომინემ-ის** იდენტიფიცირება.

- **მეიად ტომარაძე პოლიტიკოსი:** „ქართველი ვაცის სულია ეს [ტაძრები] და იმიტომ, პირდაპირ ამ სულს უტევენ, რომ შემდეგ ფიზიკურადაც დაგვამარცხონ და ის პროექტი, რომელიც ჩაფიქრებული აქვთ: „საქართველო ქართველების გარეშე“ განახორციელონ... ეკლესია, ბოლო წლების მანძილზე, არის გლობალისტებისა და ულტრა ლიბერალური ძალების მთავარი სამიზნე... და ეს წინასწარვე გათვალეს, წინასწარვე იცოდნენ _ თუ ეკლესიას დაამარცხებდნენ, მაშინ ისინი ყველაფერს განახორციელებენ, რაც სურთ... ეს არის პირდაპირი შეკვეთილი იერიში, ორკესტრირებული იერიში, გარკვეული პოლიტიკური ძალების, არასამთავრობო სექტორისა და ტელემედიის.“³⁷
- **ვალერი კვარაცხელია, ჟურნალისტი:** „ეს არის თემა [საუბრობს „ქრისტიანობის წინააღმდეგ ბრძოლის“ შესახებ] რომლის წინააღმდეგ ჩვენ ყველა უნდა აღვდგეთ; იმიტომ კი არა, რომ ყველანი ერთბაშად ეკლესიურები გავხდით, იმიტომ კი არა, რომ ყველას, ასე ვთქვათ, მსოფლმხედველობრივად ჩამოგვიყალიბდა რელიგიური პოზიციები, არამედ იმიტომ, რომ ქართველები ვართ და ჩვენი ისტორია თავიდან ბოლომდე, _ თითქმის თავიდან ბოლომდე _ დაკავშირებულია, სწორედ რომ,

³⁴ იხ. ლამის სტუდია, 23 თებერვალი, 2021. <https://bit.ly/2PA3oWZ>.

³⁵ იხ. ლამის სტუდია, 22 თებერვალი, 2021. <https://bit.ly/3nD6itY>.

³⁶ იხ. ლამის სტუდია, 28 იანვარი, 2021. <https://bit.ly/2R7kdbS>.

³⁷ იხ. ლამის სტუდია, 16 თებერვალი, 2021. <https://bit.ly/3u5A49b>.

ქრისტიანობასთან. [...] ეს არის ჩვენთვის „სუბსტანციური“ მოვლენა, დუღაბის როლის შემსრულებელი ქართული კულტურისთვის, ქართული სულიერებისთვის...“³⁸

ისევე როგორც ტელეკომპანია იმედის ეთერში, ობიექტივის ეთერშიც ჟღერდებოდა ნეგატიური შინაარსის გზავნილები კარტოგრაფი ივერი მელაშვილის მიმართ: ხდებოდა მისი მიზანმიმართული დისკრედიტაცია და დემონიზება. აქცენტი კეთდებოდა იმაზე, რომ ივერი მელაშვილი ასრულებდა ყოფილი ხელისუფლების დაკვეთებს. ხშირად იყო გამოყენებული მათ მიმართ სიძულვილის ენაც:

- **ჯონდი ბალათურია, პოლიტიკოსი:** „მელაშვილი ღიად ჩადის სახელმწიფო ღალატს და მას ამისკენ უიძგებენ ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები, იმისთვის, რომ ბოლომდე შეასრულონ თავიანთი მისია და ეს მისია მდგომარეობს იმაში, რომ 2006 წელს მათ მიიღეს მოღალატური გადაწყვეტილება. მე ვფიქრობ, ეს პრეზიდენტის დონეზე გადაწყდა... მე როგორც ამ კაცს შევატყვე, აბსოლუტურად დაცლილია, არაფერი ქართული ამ კაცს არ აქვს, მერე რა, რომ გვარი ქართული აქვს“.³⁹

ოპოზიციური პარტიების, განსაკუთრებით კი, ნაციონალური მოძრაობის წინააღმდეგ მიმართული გზავნილები ისმოდა “ალტინფოს” ეთერშიც. ამ ნაწილში, უმეტესად ხდებოდა ტექნიკების “ად ჰომინემ” და აპელირება შიშზე გამოყენება. ერთი მხრივ, აქცენტი კეთდებოდა იმაზე, რომ ოპოზიცია ეკლექტური, მოღალატე და რადიკალური ძალაა, მეორე მხრივ კი იმაზე, რომ დღევანდელი ოპოზიციის ხელისუფლებაში დაბრუნება დამლუპველია საქართველოსთვის:

- **ლევან ვასაძე, ბიზნესმენი:** “მოვლენ ეს მანიაკები და რას იზამენ, ეს ისტერიული მანიაკები (ნაციონალური მოძრაობა), ისევ შეგვაჯახებენ თავით რუსეთს, ისევ დაგვეხოცება ბიჭები. გამოთავყვანებულ ხალხს ჰგონია, რომ ეს პატრიოტიზმია“.⁴⁰
- **შოთა მარტინენკო, წამყვანი:** "ანტინაცური მიმართულება ანტიდასავლურსაც გულისხმობს".

დისკრედიტაციული კამპანიები ხელისუფლების წინააღმდეგ

ძირითადი ტენდენციები

1. საქართველოში არის ოლიგარქიული, ერთპიროვნული, ავტორიტარული მმართველობა;
2. ქართული ოცნება პრორუსული მთავრობაა და მისი ხელისუფლებაში დარჩენის შემთხვევაში, საქართველო დაიღუპება/ადარ იარსებებს/გახდება რუსეთის ნაწილი;
3. ქართული ოცნება მოქმედებს საქართველოს ინტერესების საწინააღმდეგოდ და მოლაპარაკებების ჩაშლას ცდილობს.

ხელისუფლების კრიტიკით, განსაკუთრებით გამოირჩეოდა ტელეკომპანია “მთავარი არხი”. ძირითადად გამოიყენებოდა ტექნიკები - Ad hominem და მცდარი განზოგადება:

³⁸ იხ. ღამის სტუდია, 16 თებერვალი, 2021. <https://bit.ly/3u5A49b>.

³⁹ იხ. ღამის სტუდია, 29 იანვარი, 2021. <https://bit.ly/3u5A49b>.

⁴⁰ იხ. ალტ-ანალიტიკა, 15 მარტი, 2021. <http://bitly.ws/d2gD>.

- **ევა კვესიტაძე, წამყვანი:** „ხელისუფლება იდეოლოგიურ დივერსიას მეცხრე წელია გვიწყობს. ადვილი მისახვედრია, რატომ აირჩია ივანიშვილმა ეს გზა, რადგან მის ავტორიტარულ რეჟიმს გადარჩენა და გახანგრძლივება მხოლოდ მიზნით დამუხტულ ორად გახლეჩილ საზოგადოებაში შეუძლია. მაგალითად, ის, რაც ჩვენ დღეს პარლამენტში თვა წულუკიანის გამოსვლის სახით ვნახეთ, არის სრული მნებობრივი და ადამიანური კატასტროფა.“⁴¹
- **ევა კვესიტაძე, წამყვანი:** „ივერი მელაშვილზე თავდასხმა „ალტა ოკეში“ სუსის მიერ იყო პროვოცირებული და მას ბიუჯეტის ფულით დაფინანსებული ზონდერი დაესხა თავს.“⁴²
- **დიანა ჯოჯუა, წამყვანი:** „საუკუნის შემდეგ, ჩვენ ისევ რუსული ოკუპაციის წინააღმდეგ ვიბრძვით. ირაკლი ღარიბაშვილმა ბიძინა ივანიშვილს იმედები არც ამჯერად გაუცრუა და მისი პრემიერად დანიშვნის მიზანიც წარმატებით შეასრულა. ბოლო ერთი კვირის განმავლობაში თავისუფლების სიმბოლოდ ქცეული ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ცენტრალური ოფისი დარბეულია. ოლიგარქ ივანიშვილის რუსული ოცნების შესასრულებლად და საქართველოს ევროატლანტიკური პერსპექტივის დასასამარებლად ხელისუფლებამ სპეცდანიშნულების რაზმები გამოიყვანა და შენობა, სადაც ნიკა მელია იმყოფებოდა, შტურმით აიღო.“⁴³

ქართული ოცნების მთავრობის, ქართული ოცნების კონკრეტული ლიდერების დემონიზება და დისკრედიტაცია აქტიურად ხდებოდა ტელეკომპანია “ფორმულას” ეთერშიც. მათ მოიხსენიებდნენ როგორც “მონებს”, “მანიაკებს”, “მოღალატეებს”, „კლოუნებს“ და ა.შ.

- **გივი უგულავა, ევროპული საქართველო:** “კობახიძე [არის] ყველა შესაძლო მანიაკალური გამოვლინებებიდან ყველაზე უფრო დეგრადირებული მანიაკი ამ, ივანიშვილის გარემოცვაში...[ივანიშვილს] სჭირდება ყველაზე დიდი მონა, [კობახიძე], ამ ადგილას“⁴⁴
- **თამარ ჩერგოლეიშვილი, ჟურნალისტი:** “კობახიძე და ღარიბაშვილი გამორჩეული კლოუნები არიან, ურეპუტაციო, საოცარი კლოუნები“⁴⁵
- **გივი უგულავა, ევროპული საქართველო:** “ხვალ, ზეგ, გახარიას რომ პანჩურს ამოართყამენ და კიდევ უარეს იდიოტს რომ დანიშნავენ იქ.“⁴⁶
- **მიხეილ სააკაშვილი, ექს-პრემიერის სტრასბურგში საქართველოს სარჩელის მოგებაზე:** “ეს არის მოღალატეობრივი მთავრობა...ამხელა შედეგსაც ვერ წარმოვიდგენდი, რადგან საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება ყველაფერს აკეთებდა, რომ ეს შედეგი არ დამდგარიყო - თავიანთი განცხადებებით, თავიანთი უმოქმედობით, თავიანთი კულისებს მიღმა ლობირებით... უკანონოა ეს ხელისუფლება მას შემდეგ, რაც არჩევნები მოიპარა და არ აღიარებს მის შედეგებს....“⁴⁷

⁴¹ იხ. ღამის მთავარი, 2 თებერვალი, 2021. <http://bitly.ws/d2gF>.

⁴² იხ. ღამის მთავარი, 2 თებერვალი, 2021. <http://bitly.ws/d2gI>.

⁴³ იხ. მთავარი არხი, სპეციალური გამოშვება, 23 თებერვალი, 2021. <http://bitly.ws/d2gK>.

⁴⁴ იხ. პოლიტიკის ფორმულა, 11 იანვარი, 2021. <https://bit.ly/3dYXoyk>.

⁴⁵ იხ. პოლიტიკის ფორმულა, 22 მარტი, 2021. <https://bit.ly/3wOFt67>.

⁴⁶ იხ. პოლიტიკის ფორმულა, 11 იანვარი, 2021. <https://bit.ly/3dYXoyk>.

⁴⁷ იხ. პოლიტიკის ფორმულა, 21 იანვარი, 2021. <https://bit.ly/39ZzAhY>.

მთავარი არხის მსგავსად, ფორმულას ეთერშიც ქართული ოცნების მართველობას მოიხსენიებდნენ, როგორც ავტორიტარულ ან ტოტალიტარულ მართველობას ან ადარებდნენ ავტორიტარულ და ტოტალიტარულ რეჟიმებს. ამ შემთხვევაში, გამოიყენებოდა *მცდარი ეკვივალენტობისა და მცდარი განზოგადების ცდომილებები*:

- *გიგა ბოკერია, ევროპული საქართველო*: “[ახლა საქართველოში არის] ორუელიანური გარემო, რითაც ის ჰგავს პუტინის რეჟიმს”⁴⁸
- *გიგა ბოკერია, ევროპული საქართველო*: “ჩვენ ავტორიტარულ ქვეყანაში ვართ”⁴⁹
- *ნონა მამულაშვილი, ნაციონალური მოძრაობა*: “31 ოქტომბერს დამარცხდა მთელი ქვეყანა. ჩვენ წავაგეთ. როგორც ერმა წავაგეთ, იმიტომ რომ დემოკრატიის პროცესი შეჩერდა... ბოლო 8 წლის განმავლობაში ქართულმა ოცნებამ საზოგადოებაში. მიზლი დათესა ერთმანეთის, აუტანლობა ამრის. საპირისპირო ამრის გამოთქმის უფლებაც არ გაქვს... და თუ დააკვირდებით, გვაჩვენებს ეს რუსულ კვალს, რადგან ეს მახასიათებელია რუსული პროპაგანდის....”⁵⁰

ქართული ოცნების დისკრედიტაცია ანალოგიური ლექსიკით მიმდინარეობდა ტელეკომპანია პირველის ეთერშიც:

- *ინგა გრიგოლია, წამყვანი*: “როგორ გადარია ოცნებამ ევროპა, ოღონდ არა დაპირებული დემოკრატით, არამედ მოლაპრაკებების მაგიდის აყირავებით. ნამდვილად გავაოცეთ ევროპა, ოღონდ არა დემოკრატით, არამედ მოსმენებით, თვალთვალთ, ოპოზიციამე ანგარიშსწორებით.”⁵¹
- *გიგი უგულავა, ევროპული საქართველო*: “პავილიონმა დაინახა შიშველი სიგიჟე ამ ხალხის, ნატურალური სიგიჟე დაინახა. მე სიტყვა გიჟს კლინიკური მნიშვნელობით ვამბობ”⁵²
- *თაკო ჩარკვიანი, სტრატეგია აღმაშენებელი*: “(გახარიას დაბრუნება პოლიტიკაში) აბსოლუტურად რუსული პროექტია. ბიძინა ივანიშვილი თვითონაც არის რუსული პროექტი.”⁵³

⁴⁸ იხ. პოლიტიკის ფორმულა, 18 იანვარი, 2021. <https://bit.ly/2Qcbjce>.

⁴⁹ იხ. პოლიტიკის ფორმულა, 11 მარტი, 2021. <https://bit.ly/324b6ub>.

⁵⁰ იხ. პოლიტიკის ფორმულა, 1 თებერვალი, 2021. <https://bit.ly/3uJNasE>.

⁵¹ იხ. რეაქცია 23 მარტი, 2021. <http://bitly.ws/d2gM>.

⁵² იხ. რეაქცია, 18 მარტი, 2021. <http://bitly.ws/d2gP>.

⁵³ იხ. რეაქცია 23 მარტი, 2021. <http://bitly.ws/d2gM>.

კორონავირუსი და პროპაგანდა

ძირითადი ტენდენციები

კორონავირუსის შემთხვევების ზრდა ხელისუფლების არაეფექტიანი მუშაობის შედეგია;

1. ოპოზიცია დგას კორონავირუსის სამსახურში;
2. კორონავირუსის საწინააღმდეგო დასავლური ვაქცინა არაეფექტური და საფრთხის შემცველია.

კორონავირუსთან მიმართებით, ტელეკომპანია იმედის ეთერში გაგრძელდა წინასაარჩევნო ნარატივი, რომელიც გვთავაზობს მცდარ დიქტომიას: ერთი მხრივ, ამ ნარატივის მიხედვით, 'გმირი ექიმები' და ხელისუფლება ვირუსს წარმატებით მართავენ, ხოლო, მეორე მხრივ, 'დესტრუქციული' ოპოზიცია ვირუსის "სამსახურშია" და მის წარმატებულ მართვას ხელს უშლის:

- **ნიკა მეტრეველი, ექსპერტი:** "როდესაც ჩვენი გმირი ექიმები პანდემიას ებრძოდნენ, ნაციონალური მოძრაობა ამ ექიმებს ებრძოდა"⁵⁴
- **გური სულთანბეგილი, ფილოსოფოსი:** "ნაციონალური მოძრაობა ვირუსს იყენებდა, როგორც პოლიტიკური იარაღს"⁵⁵
- **ვაკა გორგილაძე, წამყვანი:** "ევროპაში, ყოველ შემთხვევაში, საქართველო არის ერთადერთი ქვეყანა, სადაც დეკლარირებულად ოპოზიცია თავის მოკავშირედ აცხადებს კორონავირუსს."⁵⁶
- **გეგი სალუქვაძე (მთის კურორტების ასოციაცია, კორონას საპასუხო შეზღუდვების მოხსნის აქციების მონაწილე):** "ეს დღეები სულ ვფიქრობ, აი, ამ არალოგიკური ქმედებების [კორონასთან დაკავშირებით ჩაკეტვების] უკან რა შეიძლება იდგეს? და ჩვენ, საერთაშორისო მეგობრებთან ერთად, არ გეგონოთ, რომ ჩვენ გვძინავს, ჩვენ ძალიან ფრთხილად ვაკვირდებით მოვლენებს და სამწუხაროდ, თეთრ თოვლზე, აი, პირდაპირ კვალი მიდის ჩრდილოეთისკენ."⁵⁷

ანალოგიურ განცხადებებს ვხვდებით ოპოზიციურ მედიაში მთავრობის მისამართით. მაგალითისთვის, გირჩი TV-ზე არაერთხელ აღინიშნა, რომ Covid-19-ს ხელისუფლება იყენებს სხვადასხვა პოლიტიკური მიზნით. ამასთან, როგორც წინასაარჩევნო, ასევე პოსტ-საარჩევნო პერიოდში შეინიშნებოდა "პოლიტიკური აგორას" წამყვანებისა და სტუმრების მიერ კორონავირუსთან დაკავშირებული საფრთხეების იგნორირება:

- **სერგი კაპანაძე, ევროპული საქართველო:** „ეს შეზღუდვები კარგად გამოიყენეს ბიზნესების შესაშინებლად და მათზე ბენოლის მოსახდენად.“⁵⁸

⁵⁴ იხ. იმედის ფაქტორი, 26 იანვარი, 2021. <http://bitly.ws/d2gR>.

⁵⁵ იხ. იმედის ფაქტორი, 9 თებერვალი, 2021. <http://bitly.ws/d2gS>.

⁵⁶ იხ. იმედის ფაქტორი, 26 იანვარი, 2021. <http://bitly.ws/d2gR>.

⁵⁷ იხ. პოლიტიკის ფორმულა, 25 იანვარი, 2021. <https://bit.ly/327qN40>.

⁵⁸ იხ. პოლიტიკური აგორა, 4 მარტი, 2021. <http://bitly.ws/d2gY>.

- **გიორგი ლომინაძე, წამყვანი:** „კორონა სიცოცხლის დასაღიერზე მყოფ ადამიანებს კლავს, ეკონომიკის დანგრევა ყველას ურტყამს.. ვთქვათ, 5 წლის ბავშვი სახელმწიფომ მოკლა იმის გამო, რომ ვიდაცები, სიცოცხლის დასაღიერზე მყოფი ადამიანები გადაერჩინა.“⁵⁹

ანალოგიური გზავნილები ვრცელდებოდა ტელეკომპანიების “ფორმულას” და “პირველის” ეთერებში, თუმცა არა გადაცემის წამყვანების, არამედ სტუმრების მხრიდან, და გაცილებით ნაკლები ინტენსივობით. ძირითადად, აქცენტი კეთდებოდა იმაზე, რომ კორონავირუსთან დაკავშირებული რეგულაციების მეშვეობით, ხელისუფლება ძალაუფლებას იმყარებს და მსგავს შემლუდვებს სხვა რაციონალურობა არ აქვს:

- **დათო ჭიჭინაძე, “ტრიბუნა”:** "მთელი საარჩევნო კამპანია იყო ექიმების გაფეთიშება და მათი სიცრუე, რომლისაც რატომღაც ყველას ეშინია. მივედი იქამდე, რომ ეს პროფესიონალი თაღლითი გამყრელიძე, რომელიც შევარდნაძის 200 ლარიანი მინისტრი იყო, როგორ შეიძლება ის გაკეთილშობილდეს."⁶⁰
- **ვატო ასათაშვილი, „შელისკი ჯორჯია“:** იმდენად მაქსიმალურად ხდება ახლა ყველა სფეროს ჩაკეტვა, მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ძალაუფლება გაიმყარონ, რაც შეიძლება მაგრად დადგნენ, საძირკველი გაიმყარონ თუ რაც შეიძლება ამას დავარქვათ.“⁶¹

ანტივაქსერული გზავნილები ისმოდა “ალტTV”-დან. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის წამყვანები კორონავირუსის საწინააღმდეგო ყველა ვაქცინას გმობდნენ, აღნიშნავდნენ იმასაც, რომ რუსული ვაქცინა შედარებით უფრო ეფექტური და სანდოა, ვიდრე სხვა ვაქცინები. კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინას ასევე ახსენებდნენ ანტიდასავლურ და პრორუსულ განცხადებებში:

- **გიორგი ქარდავა, წამყვანი:** “ჩვენ რასაც ვაწერთ ხელს ევროსტრუქტურებში, ტუალეტის ქალაქის ტოლფასია... საბჭოთა კავშირი რომ ყოფილიყო, საქართველო იქნებოდა პირველი ქვეყანა, რომელიც ვაქცინას მიიღებდა. რუსეთში არ იქნებოდა და საქართველოში იქნებოდა... ეს არის ბილგეიტსების და ვიდაც კაპიტალისტების მიერ გაკეთებული ვაქცინა”⁶²
- **შოთა მარტინენკო, წამყვანი:** “ვაქცინა სახიფათოა, იმიტომ, რომ ორ თვეში შექმნეს რალაცა... რომელიც შეიძლება არ იყოს, არ არის დატესტილი, არ ვიცით...”⁶³

⁵⁹ იხ. პოლიტიკური აგორა, 4 იანვარი, 2021. <https://bit.ly/3w0hTTx>.

⁶⁰ იხ. რეაქცია, 28 იანვარი, 2021. <http://bitly.ws/d2gZ>.

⁶¹ იხ. პოლიტიკის ფორმულა, 25 იანვარი, 2021. <https://bit.ly/327qN40>.

⁶² იხ. ალტ-ანალიტიკა, 5 მარტი, 2021. <http://bitly.ws/d2h2>.

⁶³ იხ. ალტ-ანალიტიკა, 5 მარტი, 2021. <http://bitly.ws/d2h2>.

სიძულვილის ენა მედიაში

სექსიზმი და გენდერული დისკრიმინაცია

ზოგადად, სიძულვილის ენით, განსაკუთრებით კი - სექსისტური და გენდერული დისკრიმინაციის შემცველი გამონათქვამებით, გამოირჩეოდა ტელეკომპანია “Alt-TV”. სიძულვილის ენის შემცველი გზავნილებიდან 40% შეიცავდა სექსიზმსა და გენდერული ნიშნით დისკრიმინაციას. გარდა ამისა, “ალტ-ანალიტიკის” ეთერში ღიად ისმოდა ძალადობისკენ მოწოდება ქალთა უფლებათა დამცველი ორგანიზაციებისა და ფემინისტების მიმართ:

- **ირაკლი მარტინენკო, წამყვანი:** “(ნინო წილოსანის მონაწილეობაზე ბუკნარის შეხვედრაში) საერთოდ, კონფლიქტის დროს როცა მოლაპარაკებებში მონაწილეობას იღებს ქალი, სასაცილოა ეგ, არაადეკვატურია”⁶⁴
- **ლევან ვასაძე, ბიზნესმენი:** “მეცოდება კიდევ ირაკლი ღარიბაშვილი და ვგულშემატკივრობ, რომ არიქა იქნებ ევროპელებს მაინც დაუმტკიცო ჩვენი სუვერენიტეტი, იქნებ ამ ამერიკის ელჩს მაინც უთხრა, შედი ქალო საელჩოში.”⁶⁵
- **მურა მახარაძე, წამყვანი:** “რომანტიკული სიყვარულის იდეა მუშაობს მხოლოდ ქალებზე და არა კაცებზე.”⁶⁶
- **გიორგი ქარდავა, წამყვანი:** “ძველი ებრაული გამონათქვამია: ღმერთი როდესაც აღამიანს სჯის, გონებას ართმევსო და, აი, ამ ფემინისტებზე იდეალურად ზედგამოჭრილი პასუხია.”⁶⁷

ნაკლები ინტენსივობით, თუმცა გენდერული დისკრიმინაციის შემცველი და სექსისტური გამონათქვამები ჟღერდებოდა ტელეკომპანია “ობიექტივის” ეთერშიც.

- **ვალერი კვარაცხელია, ჟურნალისტი:** „სასაცილო არ არის ის ამბავი, რომ პარლამენტში უნდა იყოს გენდერული თანასწორობა დაცული?“⁶⁸

ასევე, ტელეკომპანია იმედის ეთერში რეჟისორმა რობორტ სტურუამ გააჟღერა, სექსიზმისა და გენდერული დისკრიმინაციის შემცველი გზავნილი, რასაც რეაგირება ჟურნალისტების მხრიდან არ მოჰყოლია:

- **რობერტ სტურუა, რეჟისორი:** “ამათ გაანადგურეს და ცდილობენ გაანადგურონ საქართველო. ის საქართველო, რომელსაც ისინი გვთავაზობენ მე კატეგორიულად არ მომწონს. მე არ მინდა, რომ კაცი და ქალი ერთნაირად იგინებოდეს, რომ იყოს უბრდელი, უნიჭო, უვიცარი... მე ეს ფაშიზმიც არ მგონია, ეს არის უფრო საზიზღარი რაღაცა.”⁶⁹

⁶⁴ იხ. ალტ-ანალიტიკა 15 იანვარი, 2021. <http://bitly.ws/d2h4>.

⁶⁵ იხ. ალტ-ანალიტიკა, 15 მარტი, 2021. <http://bitly.ws/d2gD>.

⁶⁶ იხ. ალტ-ანალიტიკა, 26 მარტი, 2021. <http://bitly.ws/d2hb>.

⁶⁷ იხ. ალტ-ანალიტიკა, 26 მარტი, 2021. <http://bitly.ws/d2hb>.

⁶⁸ იხ. ღამის სტუდია, 16 თებერვალი, 2021. <http://bitly.ws/d2hi>.

⁶⁹ იხ. იმედის ფაქტორი, 9 მარტი, 2021. <http://bitly.ws/d2ho>.

ჰომოფობია და ტრანსფობია

ქართულ ტელევიზიაში, პოსტ-საარჩევნო კონტექსტში ჰომოფობიური და ტრანსფობიური შინაარსის გზავნილები განსაკუთრებით ხშირად ფიქსირდებოდა ალტ-TV-ის ეთერში. მსგავს გზავნილებში გამოიყენებოდა ე.წ. **დამრეცი ფერდობის არგუმენტი (slippery slope argument)**. ეს ლოგიკური ცდომილება აღნიშნავს ერთი მოვლენის დაკავშირებას მოვლენათა ჯაჭვთან, რომელთანაც ამ მოვლენას მიზეზ-შედეგობრივი კავშირი რეალურად არ აქვს. მაგალითად, ამ ცდომილებას ვხვდებით მაშინ, როცა სპიკერს იმის დამტკიცება უნდოდა, რომ ერთნაირსქესიანთა ქორწინება პედოფილიის ლეგალიზაციას და კულტურული ღირებულებების მოშლას გამოიწვევს.

- **შოთა მარტინენკო:** “საბოლოო ვერსია დასავლეთში არის პედოფილიის ნორმალიზაცია. ჰომოსექსუალიზმისა და ტრანსგენდერობის ნორმალიზაციის შემდეგ, ლოგიკურად, პედოფილიის ნორმალიზებაც მოხდება.”⁷⁰
- **ბერა მახარაძე, წამყვანი:** “ჩვენ ვცხოვრობთ ორუელის რეალობაში, სადაც პიდარასტი აქტივისტები ოკუპაციასთან მებრძოლი გმირები არიან.”⁷¹

აღსანიშნია, რომ ბერა ივანიშვილმა ტელეკომპანია იმედთან ინტერვიუში, ასევე, სავარაუდოდ, ჰომოფობიური შინაარსის კომენტარი გააკეთა. ამ კომენტარს გადაცემის წამყვანების მხრიდან რეაგირება არ მოჰყოლია. ისინი მთელი ინტერვიუს განმავლობაში ეთანხმებოდნენ ბერა ივანიშვილის ყველა განცხადებას და ღიად გამოხატავდნენ მისდამი მხარდაჭერას.

- **ბერა ივანიშვილი, რეპორტი:** „მე, როგორც ვიცი, ისინი ჩემს სიმღერებში ქათმების ხმას ეძებდნენ, მაგრამ, როდესაც ვერ იპოვეს ქათმების ხმა, შემდეგ თოლიების ხმასაც დასჭერდნენ”.⁷²

ქსენოფობია

ქსენოფობიური განცხადებების უდიდესი ნაწილი ასევე ალტ-TV-სა და ობიექტივზე მოდიოდა. განსაკუთრებით ჭარბობდა თურქოფობიური გზავნილები. ამ გზავნილებში ძირითადად გამოიყენებოდა **აპელირება შიშზე, აპელირება ემოციაზე**. კონკრეტულად კი, აპელირება ხდებოდა იმაზე, რომ განსხვავებული ეთნიკური და ეროვნული კუთვნილების ჯგუფები ქართულ ეროვნულ იდენტობას და საქართველოს ერთიანობას უქმნიან საფრთხეს:

- **ასმათ ტყაბლაძე, მსახიობი:** “...შემოიყვანა წინა მთავრობამ ოცდაათი ათასი “უცხო ტომელი”. ბათუმში და ა.შ. და ამ ჩემს საცოდავ ქვეყანას, ჩვენს ქვეყანას... როგორ შეიძლება, რომ გაყიდეს ქვეყანა...”⁷³

⁷⁰ იხ. ალტ-ანალიტიკა, 5 მარტი, 2021. <http://bitly.ws/d2h2>.

⁷¹ ალტ-ანალიტიკა, 28 იანვარი, 2021. <http://bitly.ws/d2hv>.

⁷² იმედის ფაქტორი, 9 მარტი, 2021. <http://bitly.ws/d2ho>.

⁷³ ღამის სტუდია, 1-ლი თებერვალი, 2021. <http://bitly.ws/d2hz>.

- **ლევან ვასაძე, ბიზნესმენი:** “როგორ შეიძლება თურქეთზე, მე კი არაფერს ვერჩი თურქებს, მაგრამ ქვეყანაზე, რომელსაც ისტორიული ამბიციები გააჩნია ჩვენი რეგიონების მიმართ, რომელიც ჩვენი მოწინააღმდეგე იყო საუკუნეების მანძილზე, როგორ შეიძლება დასავლეთ საქართველოს მთავარი მდინარის ხეობის ჩუქება?”⁷⁴
- **გიორგი ქარდავა, წამყვანი:** “თუ მარნეულში რამე არ შევცვალეთ, აგვახევენ”⁷⁵
- **ლევან ვასაძე, ბიზნესმენი:** “თურქებს მიუგდებენ აჭარას ან ყარაბაღზე ნაწყენ სომხებს მესხეთ-ჭავჭავეთს...”⁷⁶

დასკვნა

წინამდებარე ანგარიში ასახავს “მედიის ინსტიტუტის” მიერ განხორციელებული პოსტ-საარჩევნო მედიამონიტორინგის შედეგებს. ის აანალიზებს ქართული სატელევიზიო მედიის მთავარი გზავნილებს და მათში პროპაგანდის მეთოდებისა და ლოგიკური ცდომილებების იდენტიფიცირებას ახდენს. იგი ასევე ავლენს სიძულვილის ენის შემცველ განცხადებებსა და მოწოდებებს.

მონიტორინგმა ცხადყო, რომ ყველაზე ხშირად გამოიყენება “ad hominem”, ანუ “დემონიზების ტექნიკა”, ასევე “აპელირება ემოციაზე”, “აპელირება შიშზე”, “მცდარი განზოგადება” და “კარტების გადაწყობა”. აგრეთვე, ერთი და იგივე გზავნილები, ცალკეული არხების საშუალებით, რეგულარულად მეორედბოდა, რაშიც გამოვლინდა „ad nauseam“ ტექნიკის გამოყენება.

ძირითადი ტენდენციები არჩევნების შემდეგ უცვლელი დარჩა. კვლავ აშკარაა მკვეთრი მედიაპოლარიზაცია პოლიტიკური პოლარიზაციის ფონზე და დისკუსიის დიდი ნაწილი, ისევე ეფუძნება არა შინაარსობრივ არგუმენტაციას, არამედ ოპონენტის დისკრედიტაციასა და დემონიზებას.

⁷⁴ ალტ-ანალიტიკა, 15 მარტი, 2021. <http://bitly.ws/d2gD>.

⁷⁵ ალტ-ანალიტიკა, 22 ივნისი, 2021. <http://bitly.ws/d2hC>.

⁷⁶ ალტ-ანალიტიკა, 15 მარტი, 2021. <http://bitly.ws/d2gD>.